სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N22 ხელშეკრულების

ცვლილება #1

19.08.2020

ერთის მხრივ შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ (ს/ნ 245626684) (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ნოდარ კონცელიძის (პ/ნ 61002014850) სახით და მეორეს მხრივ შპს „იუ ეიჩ ვაი“ (ს/ნ 406026447) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მმართველი პარტნიორის/დირექტორის თინათინ დავითაიას (პ/ნ 01031001185) სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილებას და ვთანხმდებით შემდგეზე:

1. შეიცვალოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N22 2.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მსს ფასს- ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში - ფინანსური ანგარიშგება) აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის. აუდიტის ანგარიშის მიწოდება მოხდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

2. შეიცვალოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N22 6.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6.3 შემსყიდველი კომპანიის მენეჯმენტი პასუხს აგებს მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენილი ინფორმაცის უტყუარობაზე. ასევე კომპანიის საქმიანობის შესაბამისი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების განსაზღვრასა და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოვლენასა და აღკვეთაზე, დასაბუთებული საღრიცხვო პოლიტიკის მიღებაზე, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სტრუქტურის დანერგვასა და უზრუნველყოფაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების შედგენისათვის, რომელიც არ შეიცავს არსებით დარღვევებს შეცდომებისა და არაკეთილსინდისიერი ქმედებებიდან გამომდინარე.

3. შეიცვალოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N22 6.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6.4 შემსყიდველი პასუხისმგებელია მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი შეცდომის შესწორებაზე, აგრეთვე ჩვენი მისამართით გამოგზავნილ წარმომადგენლობით წერილში იმის დადასტურებაზე, რომ ხელშეკრულების მიხედვით მომსახურების გაწევისას გამოვლენილი საანგარიშო პერიოდის შეცდომები, რომლებიც არ იქნა აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ცალ-ცალკე, ასევე მთლიანობაში, არ არის არსებითი ფინანსური ანგარიშგებისათვის.

4. შეიცვალოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N22 დანართი 1-ის პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ტექნიკური დავალება

მიმწოდებელი ჩაატარებს შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების (შემდგომში - ფინანსური ანგარიშგება) აუდიტს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის.

5. შეიცვალოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N22 დანართი 1-ის 1.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.1 მიმწოდებელი ჩაატარებს აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) მიხედვით იმ მიზნით, რომ გამოთქვას მოსაზრება, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით და რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების N22 ყველა სხვა მუხლი დარჩეს უცვლელი.

7. მოცემული ცვლილება წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

შემსყიდველი / შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“	მიმწოდებელი/ შპს „იუ ეიჩ ვაი“
_____	_____
დირექტორი / ნოდარ კონცელიძე	მმართველი პარტნიორი / თინათინ დავითაია

Nodar Kontselidze

Подписано цифровой подписью:
Nodar Kontselidze
Дата: 2020.08.20 14:02:17 +04'00'